ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2651057

ნომერი: AR1411643

თარიღი : 08.06.2016

გაცემის თარიღი : 15.06.2016

გაცნობის თარიღი : 16.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , -ში 22 - ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , -ში 22 - ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იულია ზაალიშვილი პ/ნ 01001021930
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 41 ბ. 51

ორგანიზაცია:
- სს ნიკორა ტრეიდი კოდი: 206255808

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge)

თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან შენობა, რაზეც უნდა განხორციელდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები (კონდიციონერების მოწყობა) არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, ამდენად თქვენს მიერ მოთხოვნილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ვერ განიხილება როგორც პირველი კლასის ობიექტი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მოხდეს შეთანხმებულ პროექტში ცვლილების შეტანა ან ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ შესაძლებელი იქნება განხილულ იქნას როგორც პირველი კლასის ობიექტი.

აქვე გაითვალისიწნეთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, თავი IV, მუხლი 18, პუნქტი 10-გ-ს თანახმად სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით (ერთიანი სისტემით მოწყობა). ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.